განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

შპს„საქართველოს უნივერსიტეტი“

შეფასების თარიღ(ებ)ი

ვიზიტის თარიღი: 26 მარტი, 2021
დასკვნის წარმოდგენის თარიღი: 19 აპრილი, 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს„საქართველოს უნივერსიტეტი“
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულა

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფსიქოლოგია (psychology)
უმაღლესი განათლების საფეხური	საბაკალავრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ბაკალავრი ფსიქოლოგიაში Bachelor of Psychology
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0313 ფსიქოლოგია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	-

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ფირცხალავა - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაია მესტვირიშვილი - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ გვაძაბია - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მიმართულია თანამედროვე თეორიული და პრაქტიკული ცოდნის, საფეხურის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების მქონე ისეთი კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებიც შეძლებენ ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფლებას, პრაქტიკულ საქმიანობაში საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებასა და კარიერულ წინსვლას. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამა 240 კრედიტის ფარგლებში (8 სემესტრი) ფსიქოლოგიის ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადების შესაძლებლობას იძლევა, რომელიც ფლობს თანამედროვე ცოდნას და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამის პრაქტიკულ უნარებს აღნიშნული მახასიათებლით პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოდის უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა 240 კრედიტია, რომელიც მოიცავს პროგრამის ძირითად საგნებს 168 ECTS, ხოლო დარჩენილი 72 ECTS დაგროვება შესაძლებელია, როგორც პროგრამის ასარჩევი საგნებიდან, ისე თავისუფალი კრედიტებით ან მაინორით. აღნიშნული სტრუქტურა, როგორც მასში შემავალი კომპონენტების, ისე კურსებისა და კრედიტების გადანაწილების თვალსაზრისით, პრაქტიკულად შეესაბამება და აკმაყოფილების მინისტრის ბრძანების (N69/ნ) მოთხოვნებს.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

საბაკალავრო პროგრამაზე „ფსიქოლოგია“ აკრედიტაციის ექსპერტთა ონლაინ Zoom-ის პლატფორმით ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 26 მარტს. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტები, წინასწარ შემუშავებული და დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის შესატყვისად, გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის პერსონალთან: უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, ბიბლიოთეკართან და პრაქტიკის ხელმძღვანელებთან. ექსპერტთა ჯგუფმა, ბიბლიოთეკარის დახმარებით, ნახა, როგორ

მუშაობს უსდ-ის ელექტრონული ბიბლიოთეკა. აკრედიტაციის ონლაინ ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში. ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული. დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრები დროულად, შეფერხებების გარეშე გაიმართა. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სამაგისტრო პროგრამა „ფსიქოლოგია“ ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით ჩამოთვლილ მოთხოვნებს

სტანდარტი 1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 2 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 4 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

რეკომენდაციები

- რეკომენდირებულია, „მონაცემთა დამუშავება 2“-ის შინაარსი შეესაბამებოდეს სწავლების საბაკალავრო საფეხურს;
- რეკომენდირებულია, ფსიქოლოგიის საბაკალავრო ნაშრომის, როგორც სავალდებულო სასწავლო აქტივობისთვის, სწავლის შედეგების განსაზღვრა და მათი პერიოდული შეფასება.
- რეკომენდირებულია, შეიქმნას ფსიქოლოგიის საბაკალავრო ნაშრომი მომზადების დეტალური წესის ამსახველი დოკუმენტი, სადაც გათვალისწინებული იქნება ნაშრომის სტრუქტურა და სხვა ტექნიკური მოთხოვნები
- რეკომენდირებულია, გადაიხედოს „თემატური ჯგუფების“ დალაგების მოდელი(კერძოდ, ორგანიზაციული ფსიქოლგიიაში შემავალი თემების რევიზია)
- რეკომენდებულია,გაიზარდოს ფაიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქოდე აკადემიური პერსონალის რაოდენობა; აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს ბოლო 5 წლის განმავლობაში ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციები;
- რეკომენდირებულია, აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს ბოლო 5 წლის განმავლობაში ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის უფრო მაღალი მაჩვენებელი
- რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს ძალისხმევა, რათა აფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა პერიოდულად დაადასტუროს სამეცნიერო კომპეტენცია
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა პერიოდულად შეაფასოს და დოკუმენტურად ასახოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების დინამიკა და დასახოს სამომავლო გეგმები;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გარკვეული არჩევითი კურსების (კურსები ფსიქოთერაპიის საფუძვლები; პრაქტიკა კლინიკურ ფსიქოლოგიაში) სწავლის შედეგები მეტად შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს და საბაკალავრო საფეხურის აღმწერებს.
- სასურველია ყველა საგნის სილაბსუში მითითებული იყოს უახლესი ლიტერატურა
- სასურველია სტუდენტებისთვის პრაქტიკული და სამეცნიერო/კვლევითი უნარების გამომუშავებისთვის მათი კვლევით პროექტებში ჩართვა.
- სასურველია, ინფორმაცია საკონსულტაციო საათების შესახებ სილაბუსებშიც იყოს აღნიშნული, რაც სტუდენტებისათვის დასახელებულ საკითხზე ინფორმაციის მიწოდების კიდევ ერთი ეფექტური სტრატეგია იქნებოდა;
- სასურველია, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ჩართულმა პირებმა და უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა სტუდენტების საერთაშორისო პროექტებით, მობილობით სარგებლობა წაახალისონ და მეტი ძალისხმევა გამოიჩინონ

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- პროფესიული ინგლისური ენა ფსიქოლგებისთვის
- პროგრამა სტუდენტებს უზრუნველყოფს არჩევითი პრაქტიკის გავლის შესაძლებლობით
- პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული უნარების განვითარებისკენ მიმართული აქტივობები: ფსიქოლოგიური მომსახურებისა და ანალიტიკის ცენტრ „კონტაქტში“ მიმდინარე პრაქტიკა, მემორანდუმები

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

2020 წელს საბჭოს ხდომაზე გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით

- საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები და მიზნები, სასწავლო კურსების შედეგების შინაარსი ეროვნული კვალიფიკაციის განახლებულ ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორებთან შესაბამისობაში მოვიდა.
- შეიცვალა კონცენტრაციები და მის ნაცვლად გამოიყო სამი ძირითადი მიმართულება: კლინიკური ფსიქოლოგია, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგია.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ფართო პროფილის ფსიქოლოგიების მომზადება, როემლთაც ექნებათ კვალიფიკაციასთან შესაბამისი ცოდნა უნარი და კომპეტენციები. კერძოდ: კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს ცოდნას: ფსიქოლოგიის მეცნიერების რაობის, საგნის, ძირითადი დარგების კონცეპტუალური, მეთოდოლოგიური და ექსპერიმენტული ასპექტების შესახებ. უნდა შეეძლოს ფსიქოლოგიის ძირითადი ცნებების, ფსიქიკური და შემეცნებითი პროცესების ფუნქციების აღწერა და ანალიზი. აგრეთვე ფლობდეს ცოდნას მეცნიერული კვლევის ძირითადი პრინციპების და კვლევის მეთოდების შესახებ და ქონდეს უნარი ემპირიული კვლევის დაგეგმვის და განხორციელების. პროგრამის მიხედვით აგრეთვე კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს პიროვნული სტრუქტურების შედარებისა და გაანალიზების და მცირე კვლევის დაგეგმვისა და ჩატარების უნარს. პროგრამის მიხედვით კურსდამთავრებულებს პრაქტიკული საქმიანობის ფართო არჩევანი აქვთ ფსიქოლოგ-ასისტენტისა და დამხმარე ფსიქოლოგის პოზიციაზე ისეთ სფეროებში, როგორიცაა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციის (ბანკები, კორპორაციები, სამინისტროები, სააფთიაქო ქსელები, მაღაზიათა ქსელები) ადამიანური რესურსების მართვის სამსახურები, საბავშვო ბაღები და სკოლები, ტრენინგ-ცენტრები, კვლევითი ორგანიზაციები, სასწავლო დაწესებულებების ფსიქოლოგ-კონსულტანტთა სამსახურები, ბავშვთა და მოზარდთა საკონსულტაციო და სარეაბილიტაციო ცენტრები და კლინიკები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია, კურუკულუმი, სილაბუსები და გასაუბრებები სამუშაო ვიზიტის დროს სტუდენტებთან, აფილირებულ და მოწვეულ პროფესორებთან და დამსაქმებლებთან მიღებული ინფორმაცია, წარმოადგენენ იმის მტკიცებულებას, რომ პროგრამა უზრუნველყოფს წარმოდგენილ მიზანს და ამოცანებს. მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის მიზნებს, დარგის სპეციფიკას, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილებებს. საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს უნივერსიტეტის მისიას, ეფუძნება ისეთ ღირებულებებს, როგორებიცაა მრავალფეროვნება, აკადემიური თავისუფლება, ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებასთან სიახლოვე. ამასთან, პროგრამის

ხელმძღვანელმა განახორციელა ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების კვლევა და სიტუაციური ანალიზი.

მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა წვლილი შეაქვს მას საზოგადოებისა და დარგის განვითარებაში. პროგრამა ორიენტირებულია კურსდამთავრებულებს მისცეს ცოდნა, რომელიც დაფუძნებული იქნება ლიბერალურ-ჰუმანურ ღირებულებებზე, პროფესიული ეთიკის ფარგლებში ზოგადფსიქოლოგიური კანონზომიერებებისა შესწავლაზე და აღჭურვილი იქნება პატიოსანი შრომით წარმატების მიღწევაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- სწავლის სფეროების კლასიფიკატორი
- უნივერსიტეტის მისია;
- უნივერსიტეტის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მიზნებს. *ცოდნა და გაცნობიერება* ფსიქოლოგიის მეცნიერების რაობის, საგნის, ძირითადი დარგების (შრომისა და ორგანიზაციული, კლინიკური, სოციალური, განვითარება), განვითარების ისტორიის და პროფესიული ეთიკური ნორმების,ზოგადფსიქოლოგიური თეორიის დ. უზნაძის განწყობის თეორიის კონცეპტუალური, მეთოდოლოგიური და ექსპერიმენტული ასპექტების შესახებ ცოდნა; ფსიქოლოგიის ძირითადი ცნებების, ფსიქიკური პროცესების (აღქმა, მეხსიერება, აზროვნება, წარმოსახვა, ემოცია,ნებელობა), შემეცნებითი პროცესების ფუნქციების, მათი ძირითადი თეორიების, მოდელების, მიდგომების,ქცევითი პროცესების ფიზიოლოგიური და ევოლუციური ასპექტების შესახებ ცოდნა; ფსიქოლოგიის მეცნიერული კვლევის ძირითადი მეთოდოლოგიური და მეთოდური სისტემის, მეცნიერულიკვლევის ძირითადი პრინციპების (ჭეშმარიტების კრიტერიუმი, ობიექტურად მისაწვდომობა და შემოწმებადობა)და მეთოდების (დაკვირვება, თვითდაკვირვება, დღიური, კონტენტ-ანალიზი, ექსპერიმენტი, შემთხვევის შესწავლა, ინტერვიუ, კითხვარი, სკალა, ტესტი, გამოკითხვა და ფოკუს-ჯგუფი) და განხორციელებული კვლევის შედეგებისა და მონაცემების დამუშავების პრინციპების შესახებ ცოდნა. *უნარი* პიროვნების სხვადასხვა თეორიის ჭრილში (ფსიქოანალიზი, ანალიტიკური ფსიქოლოგია, ობიექტი-ურთიერთობის თეორია, ინდივიდუალური ფსიქოლოგია, ჰუმანისტური ფსიქოანალიზი, ნეოფსიქოანალიტიკური თეორიები, ფსიქოსოციალური განვითარების თეორია, პიროვნული ნიშნების თეორიები: ოლპორტი, კეტელი, ჰანს აიზენკი, პიროვნების ხუთფაქტორიან მოდელი, ჰუმანისტური, ტემპერამენტის თეორია, ფენომენოლოგიური, ბიჰევიორალური, სოციალური დასწავლა) პიროვნული სტრუქტურების შედარებისა და გაანალიზების უნარი, ასევე, სოციალურ გარემოში ინდივიდის ქცევის კანონზომიერებების გაანალიზებისა და შეფასების უნარი; ადამიანის განვითარების სხვადასხვა ასაკობრივ სახეფურზე დაკვირვების მეთოდის გამოყენების უნარი წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კურსით გათვალისწინებული მეთოდების (დაკვირვება, თვითდაკვირვება, დღიური, კონტენტ-ანალიზი, ექსპერიმენტი, შემთხვევის შესწავლა, ინტერვიუ, კითხვარი, სკალა, ტესტი, გამოკითხვა და ფოკუს-ჯგუფი) გამოყენებით მცირე _კვლევის დაგეგმვისა და ჩატარების უნარი;

ფსიქოლოგიაში განხორციელებული კვლევის (დაკვირვება, თვითდაკვირვება, დღიური, კონტენტ-ანალიზი, ექსპერიმენტი, შემთხვევის შესწავლა, ინტერვიუ, კითხვარი, სკალა, ტესტი, გამოკითხვა და ფოკუს-ჯგუფი) შედეგების გაანალიზებისა და დამუშავების უნარი;
ფსიქოლოგიაში განხორციელბული რაოდენობრივი კვლევის მონაცემების დამუშავებისა დაგაანალიზების უნარი SPSS-ისკომპიუტერული პროგრამის გამოყენებით - აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკის, ერთფაქტორიანი და ერთგანზომილებიანი დისპერსიული ანალიზის, მრავალფაქტორიანი და მრავალგანზომილებიანი დისპერსიული ანალიზის, ფაქტორული ანალიზის, არაპარამეტრული ტესტების, რეგრესიული ანალიზის, დისკრიმინანტული ანალიზის, იერარქიული, ორეტაპიანი კლასტერული ანალიზისა და ვარგისიანობის ანალიზის საშუალებით;
სპეციალისტებსა და არასპეციალისტებთან ფსიქოლოგიაში განხორციელებული საკუთარი კვლევის შედეგების, ძირითადი დარგების (შრომისა და ორგანიზაციული, კლინიკური, სოციალური, განვითარება) კანონზომიერებების, განვითარების ისტორიის, ფსიქიკური და კოგნიტური პროცესების თავისებურებების, პიროვნების თეორიების შესახებ კომუნიკაციის უნარი.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
ჩამოყალიბებული დამოკიდებულება პროფესიული ეთიკური ნორმების, კონფიდენციალობის, ანონიმურობის, ინფორმირებული თანხმობის, "არ _ავნო"-ს პრინციპის დაცვის აუცილებლობასთან დაკავშირებით;
პროფესიული ზრდის, თვითგანვითარებისა და სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების საჭიროების განსაზღვრის მიზნით, ფსიქოლოგიის მეცნიერულ სტატიებსა და რესურსებზე ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების უნარი.

ასევე, პროგრამის სწავლის შედეგები ემთხვევა საბაკალავრო დონისთვის განსაზღვრულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნებს და ერგება სწავლების სფეროს კლასიფიკატორში განსაზღვრულ დარგს - ფსიქოლოგიას.

შრომის ბაზრის კვლევის შედეგების თანახმად, სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსა და პასუხისმგებლობას, რასაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. აღწერილი სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება დონის აღმწერებს.

უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული პროგრამის განხორციელების შედეგების შეფასებების მრავალკომპონენტიანი სისტემა, მათ შორისაა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, სადაც გაწერილია, რომელი ძირითადი სასწავლო კურსია ორიენტირებული ამა თუ იმ სწავლის შედეგის მიღწევაზე და რა დოზით; ასევე, მოქმედებს სამიზნე ნიშნულებისა და მათი დადარების სისტემა, ლექტორთა და სტუდენტთა პერიოდული გამოკითხვის პარალელურად, რაც, გულისხმობს, რომ უ.ს.დ-ში და მოცემული პროგრამის ფარგლებში არსებობს როგორც პირდაპირი, ისე ირიბი შეფასება.ვინაიდან სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პროგრამაში განხორციელდა რიგი ცვლილებები, შესაძლოა, ითქვას, რომ მოცემული მექანიზმი ეფექტური და ქმედითია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- კურიკულუმის რუკა
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- აკრედიტაციის ექსპერტთა წინა ჯგუფის დასკვნა

• ინტერვიუს შედეგები • შრომის ბაზრის კვლევის შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან	✓			

პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების პროცედურები და წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, გამჭვირვალეა, საჯარო და ხელმისაწვდომი. აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (საბაკალავრო პროგრამებზე) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და პრეზიდენტების ბრძანების საფუძველზე. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია, მსურველთა მუდმივ რეჟიმში და სრულყოფილად ინფორმირების მიზნით ხორციელდება ისეთი აქტივობები როგორებიც არის: „ღია კარის დღეები“, ინფორმაციული ბროშურებისა და ფლაერების ფართო ტირაჟით ბეჭდვა და გავრცელება, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, ბროშურები და ა.შ. 2020 სასწავლო წელს და 2021 წლის აბიტურიენტების ანკეტა-კითხვარში, საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის საჭიროა ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხოური ენისა და ისტორიის ჩაბარება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო პროგრამა; ○ ვებ-გვერდი www.ug.edu.ge

- საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება
- თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრება;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების არჩევით საგანთა ჩამონათვალში ისტორიის გარდა ერთად, წარმოდგენილი იყოს მათემატიკა, ვინაიდან პროგრამაში გაძლიერებულია სწავლება კვლევის მეთოდების და მონაცემთა დამუშავების თვალსაზრისით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიას. პროგრამის მუდმივი დახვეწისა და განვითარების მიზნით ხორციელდება დაინტერესებული მხარეების

(სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი) კვლევა.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა 240 კრედიტია, რომელიც მოიცავს პროგრამის ძირითად საგნებს 168 ECTS, ხოლო დარჩენილი 72 ECTS დაგროვება შესაძლებელია, როგორც პროგრამის ასარჩევი საგნებიდან, ისე თავისუფალი კრედიტებით ან მაინორით.
წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამა ლოგიკურად არის აგებული და თანმიმდევრულია: ზოგად საუნივერსიტეტო და პროფესიის ბაზისურ სავალდებულო საგნებს მოსდევს შედარებით სპეციფიკური კურსები, რომლებიც ამა თუ იმ მიმართულებით დარგში ჩაღრმავების საშუალებას აძლევენ სტუდენტს. ამასთან, შინაარსი და სტრუქტურა, ფაქტობრივად, უზრუნველყოფს პროგრამაში დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.
პროგრამაში საწყის ეტაპზე შეთავაზებულია შესავალი ხასიათის კურსები, ხოლო შემდეგ ხდება გაღრმავებული შინაარსის კურსების შეთავაზება. ასე მაგალითად, საწყის ეტაპზე სტუდენტები ეუფლებიან ფსიქოლოგიის საფუძვლებს 1 და 2-ს, მომდევნო სემესტრებში სწავლობენ ფსიქოლოგიის ისტორიას, ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდებს 1 და 2-ს, განვითარების ფსიქოლოგიას, სოციალურ ფსიქოლოგიას 1 და 2-ს, პიროვნების ფსიქოლოგიას 1- და 2-ს, განწყობის ფსიქოლოგიას 1 და 2-ს, კლინიკურ ფსიქოლოგიას, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიას.
არჩევითი საგნები შეთავაზებულია „თემატური ჯგუფების“ მიხედვით (კლინიკური ფსიქოლოგიის, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის და განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგია), თუმცა ექპერტთა ჯგუფს აქვს შენიშვა, პროგრამაში ორგანიზაციის ფსიქოლოგიის თემატიკაში ჩამოთვლილია შემდეგი საგნები: გავლენის ფსიქოლოგია, კომუნიკაციის ფსიქოლოგია, კონფლიქტი და მოლაპარაკებები, მართვის ფსიქოლოგია, რაც სოციალური ფსიქოლოგიის ბაზისურ თემებს წარმოადგენს, შრომისა და ორგანიზაციულ ფსიქოლოგიის თემატურ ჯგუფში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი საგნები და მასში მოცემულია მხოლოდ სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულების კურსები.
პროგრამის შინაარსი, მოცულობა შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს. თითქმის ყველა კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, თუმცა სილაბუსებში გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა არის ჰომოგენური და განისაზღვრება 6 კრედიტით, მიუხედავად იმისა, რა საგანია, პრაქტიკული მეცადინეობაა, რა მოცულობის ლიტერატურაა და რამდენია საკონტაქტო საათი, ყველა, გარდა საბაკალვრო ნაშრომისა (რომლიც მოიცავს 18 კრედიტს), რაც როგორც აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან საუბრისას გაირკვა ადმინისტრაციის მიერ

არის შეთავაზებული; სასურველია საგნის სპეციფიკიდან გამოდინარე იყოს განაწილებული კრედიტების რაოდენობა.

ფიქოლოგიის პროგრამაში ძალიან მნიშველოვანია კვლევის გახოცრციელების უნარების გამომუშავება, რომელსაც ხელს უწყობს ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები 1,2; ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, საბაკალავრო ნაშრომი; ასევე მნინშველოვანაი პროგრამაში არსებული რაოდენობრივი კვლევის მონაცემების დამუშავებისა და გაანალიზების უნარი; სოციალური მეცნიერებებისთვის შემქნილი SPSS-ის კომპიუტერული პროგრამის ცოდნა, რომელიც როგორც პროგრამაშია აღწერილი „აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკის, ერთფაქტორიანი და ერთგანზომილებიანი დისპერსიული ანალიზის, მრავალფაქტორიანი და მრავალგანზომილებიანი დისპერსიული ანალიზის, ფაქტორული ანალიზის, არაპარამეტრული ტესტების, რეგრესიული ანალიზის, დისკრიმინანტული ანალიზის, იერარქიული, ორეტაპიანი კლასტერული ანალიზისა და ვარგისიანობის ანალიზის საშუალებით გამომუშავდება შემდეგი საგნებით: მონაცემთა ანალიზი 1,2;“

ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ კურსი მონაცემთა დამუშვება 2 ის შემდეგი საკითხები „იერარქიული, ორეტაპიანი კლასტერული ანალიზისა და ვარგისიანობის ანალიზი“ - აჭარბებს საბაკალვრო დონის კომპეტენციას და არარელევანტურია საბაკალავრო საფეხურისთვის, ამასთანავე სტუდენტებთან საუბრის დროს სამაგისტრო დონეზე ხდება დუბლირება მოცემულ კურსში ზოგიერთი თემის.

საბაკალვრო ნაშრომი სხვა საგნებისგან განსხვავებით 18 კრედიტისგან შედგება. სამწუხაროდ ფსიქოლოგიის პროგრამას საბაკალვრო ნაშრომის სილაბუსი არ აქვს, სადაც გაწერილი იქნებოდა ყოველკვირეული განრიგი და სწავლის შედგები. დოკუმენტაციაში მოძიებული იქნა მხოლოდ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის რეგულაციები, რომლიც ზოგად საუნივერსიტეტოა, სადაც ნაშრომის მოცულობაზე და გამოყენებული ნაშრომის რაოდენობაზეა აქცენტი. ფსიქოლოგიის პროგრამას საბაკალვრო ნაშრომისთვის სილაბუსისთან ერთად კარგი იქნებოდა ჰქნოდა კვლევითი ნაშრომის სტრუქტურისა მითითების წესი.

შესაძლოა პროგრამის ხელმძღვანელმა მნიშველოვანია გაითვალისწინოს პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენციების რელევანტურობა.

1. კერძოდ თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია რომ კურსდამთავრებულებს ისეთი საბაზისო, თეორიული ცოდნა ჭირდება, როგორიცაა: ბავშვთა ფსიქოანალიზი; ფსიქოთერაპია; ოჯახებთან მუშაობის თეორიები და მოდელები; ოჯახის ურთიერთობების გავლენა ბავშვის განვითარებაზე. ექსპერტთდა ჯგუფის აზრით ამ საგნების შინაარსები მეტად რელევანტურია, სწავლების სამაგისტრო საფეხურსითვის. აგრეთვე მიუხედავად იმისა რომ პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება პროგრამის ძლიერი მხარეა, ‘’პრაქტიკა კლინიკურ ფსიქოლოგიაში“ საჭიროებს უფრო სიღმისეულ განმარტებას, რადგან

კლინიკურ ფსიქოლოგიაში პრაქტიკოსი ფსიქოლოგის სტატუსი სცილდება საბაკალავრო კომპეტენციას. 2. მრავალფეროვანია არჩევითი საგები, თუმცა საგნების სილაბუსები: ანალიტიკური და რაოდენობრივი აზროვნება; ფილოსოფიური აზრის ისტორია; საოფისე კომპიუტერული პროგრამები არ ტოვებს რელევანტურობის განცდას კულიკულუმთან. კერძოდ მოცემული სგანებიდან პირველი ორი არის პროგრამის მიზნების და დასახული კომპეტენციების მიღმა, ხოლო მესამე წარმოადგენს საბაზისო უნარებს რომელიც სწავლის სასკოლო საფეხურზე მოსწავლეს აქვს განვითრებული. შესაძლოა პროგრამის ხელმძღვანელმა იფიქროს მოცემული საგნების ჩანაცვლებაზე სხვა უფრო აქტუალურ არჩევით საგნებით. პროგრამის სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო სავალდებულო და დამხარე ლიტერატურა. კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მათ ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის ონლაინ პორტალზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები ○ ვებ გვერდი - www.ug.edu.ge ○ სტუდენტთა გამოკითხვის ანგარიში ○ კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში ○ ფსიქოლოგიის პროგრამის დამსაქმებელთა კვლევის ანგარიში ○ პერსონალთან გასაუბრება;
რეკომენდაციები: ○ რეკომენდირებულია, საბაკალავრო ნაშრომის, როგორც სავალდებულო სასწავლო აქტივობისთვის, სწავლის შედეგების განსაზღვრა და მათი პერიოდული შეფასება. ○ რეკომენდირებულია, შეიქმნას საბაკალავრო ნაშრომი მომზადების დეტალური წესის ამსახველი დოკუმენტი, სადაც გათვალისწინებული იქნება ნაშრომის სტრუქტურა და სხვა ტექნიკური მოთხოვნები ○ რეკომენდირებულია, გადაიხედოს „თემატური ჯგუფების“ დალაგების მოდელი(კერძოდ, ორგანიზაციული ფსიქოლგიიაში შემავალი თემების რევიზია)
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პროფესიული ინგლისური ფსიქოლოგებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, ფაქტობრივად, შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებსა და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან და შესაბამის საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად არსებობს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც დეტალურად აღწერს, პროგრამის რომელ სწავლის შედეგ(ებ)ზე გადის ესა თუ ის ბლოკი და თითოეულ ბლოკში შემავალი ცალკეული კურსი. თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა განსაზღვრულია კრედიტებით და 6 კრედიტს შეადგენს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრისას გათვალისწინებულია კურსის შინაარსი, კურსის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებების მოცულობა და შინაარსი. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები. თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები დამაკმაყოფილებლად აფასებენ კურსის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს. კურსის სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო სავალდებულო და დამხმარე რესურსები და ლიტერატურა. კურსის სილაბუსებში

მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე და სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის საშუალებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონული ბაზებზე ხელმისაწვდომობას. **უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ საგანის სილაბუსში სავალდებულო წიგნებს შორის, სხვა უახლეს გამოცემებთან ერთად მითითებულია 20 წლის წინ გამოცემული წიგნები, კერძოდ** (ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები; კონფლიქტები და მოლაპარაკებები; ნეიროფსიქოლოგია; სოციალური უნარების ტრენინგი; სოციოლოგიის საფუძვლები) თუმცა ეს არ არის ერთადერთი მასალა საიდანაც სტუდენტებმა უნდა მიიღონ ინფორმაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ○ სილაბუსები ○ კურიკულუმის რუკა ○ პერსონლთან და სტუდენტებთან ინტერვიუ
რეკომენდაციები: ○ რეკომენდირებულია, „მონაცემთა დამუშავება 2“-ის შინაარსი შეესაბამებოდეს სწავლების საბაკალავრო საფეხურს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველიაა, გარკვეული არჩევითი კურსების (ფსიქოთერაპიის საფუძვლები; პრაქტიკა კლინიკურ ფსიქოლოგიაში) სწავლის შედეგები მეტად შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს და საბაკალავრო საფეხურის აღმწერებს. სასურველია ყველა საგნის სილაბსუში მითითებული იყოს უახლესი ლიტერატურა
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებში დეკლარირებულია, რომ ის უზრუნველყოფს ფსიქოლოგის პრაქტიკული მუშაობისთვის საჭირო ბაზისური უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და კვლევითი აქტივობის განხორციელებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს. სამეცნიერო უნარების განვითარებას პროგრმა აღწევს პროგრამაში ძალიან მნიშველოვანია კვლევის დაგეგმივსა და გახოცრციელების კომპონენტის გაძლიერებით, რომელსაც ხელს უწყობს პროგრამაში ჩართული კურსები, კერძოდ, ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები 1,2; ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, საბაკალავრო ნაშრომი; პროგრამაში ასევე ჩრთულია რაოდენობრივი კვლევის მონაცემების დამუშავებისა და გაანალიზების უნარის გამოსამუშვებლად სოციალური მეცნიერებებისთვის შემქნილი SPSS-ის კომპიუტერული პროგრამის სწავლება,რასაც საბოლოოდ მოსდევს საბაკალვრო ნაშრომის შესრულება. პრაქტიკული უნარის განვითარებას პროგრამა აღწევს პროფესიული პრაქტიკის კომპონენტით, რომელიც ხორციელდება ორგანიზაციებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვთ ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებები, ან მზად არიან, მიიღონ სტუდენტები პრაქტიკის გასავლელად. პროგრამაში წარმოდგენილია არჩევითი საგნებში პრაქტიკული კურსები ფსიქოლოგიის შემდეგ მიმართულებებში: შრომის და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია და განათლების და განვითარების ფსიქოლოგია; რომლის შერჩევაც ინტერესის მიხედვით არის შესაძლებლი, რაც გავლენას ახდენს პრატიკული უნარების გამომუშავებაზე. კურიკულუმში არის არჩევითი პრაქტიკული კურსების ჩამონათვალი, რომელსაც უზრუველყოფენ ამ მიმართულების კურატორები. ეს დადასტურდა დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან საუბრით. წარმოდგენილი იყო, იუჯის სკოლა, იუჯი ბაღი, რომლის უდს ბაზაეა და სტუდნეტები დასაქმებულებიც არიან, „ პირველი ნაბიჯი, განათლების სამინისტრო, ლიბერთი ბანკის და გამოყნებითი ფსიქოლოგიისა და კვლევის ცენტრი.

პერსონალთან, ყოფილ და მიმდინარე სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესში გაირკვა, რომ პროგრამის მიღმა პრაქტიკული უნარების განვითარების ხელშეწყობისთვის დაფუძნებულია ფსიქოლოგიური მომსახურებისა და ანალიტიკის ცენტრი - „კონტაქტი“. თვითშეფასების დოკუმენტში წერია, რომ „ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია სტუდენტთა პრაქტიკული და სამეცნიერო/კვლევითი უნარების გამომუშავება მათი კვლევით პროექტებში ჩართვით“. დოკუმენტების განხილვამ, ასევე აკადემიურ პერსონალთან დასტუდენტებთან ინტერვიუმ ვერ ასახა ეს ინფორმაცია, და ასევე ვერ მოიძებნა საუნივერისტეტო კვლევის ანგარიში სადაც ჩართულები იყვნენ ან არიან სტუდენტები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ფსიქოლოგიური მომსახურებისა და ანალიტიკის ცენტრი - კონტაქტი ○ მემორანდუმები ○ აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებტანდა კურსდამთარებულებთან ინტერვიუ ○ დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან ინტერვიუ
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია სტუდენტებისთვის პრაქტიკული და სამეცნიერო/კვლევითი უნარების გამომუშავებისთვის მათი კვლევით პროექტებში ჩართვა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული უნარების განვითარებისკენ მიმართული აქტივობები: ფსიქოლოგიური მომსახურებისა და ანალიტიკის ცენტრ „კონტაქტში“ მიმდინარე პრაქტიკა, მემორანდუმები
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება - სწავლის მეთოდების გამოყენებით. კერძოდ, პროგრამის ფარგლებში გამოიყენება ისეთი სწავლების მეთოდები, როგორიცაა ინტერაქციული ლექციები, დისკუსია, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, როლური თამაშები, წიგნზე მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, შემთხვევის შესწავლა და ანალიზი, პრაქტიკული მუშაობა, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სავარჯიშოები,
როგორც საგანმანათლებლო პროგრამაში, ისე ცალკეულ სასწავლო კურსებში წარმოდგენილი სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საბაკალავრო საფეხურს, დარგის სპეციფიკასა და სწავლის შედეგებს.
მაგალითად, ინტერაქციული ლექციები, როლური თამაში, პრაქტიკული მუშაობა, გუნდური მუშაობა, შემთხვევის შესწავლა და ანალიზი, მცირე კვლევების ჩატარება მეთოდი უზრუნველყოფს კვლევის მეთოდების და ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის სწავლის შედეგის მიღწევას;
ასევე, ინტერაქციული ლექციები, დისკუსიები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, შემთხვევის შესწავლა და ანალიზი, სიახლეთა გარჩევა, პრაქტიკული მუშაობა, გუნდური მუშაობა, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სავარჯიშოები, შესაბამისი მასალის მოძიება ელექტრონულ ფორმატში ან ბიბლიოთეკაში, პრეზენტაციის წარდგენა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიის საფუძვლები 1 და 2, ფსიქოლოგიის ისტორია, კოგნიტური ფსიქოლოგია 1 და 2 და სოციალური ფსიქოლოგია 1 და 2 სწავლი შედეგის მიღწევადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- სილაბუსები
- სწავლების მეთოდების სახელმძღვანელო
- ვირტუალური ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების შეფასებასაქართველოს კანონმდებლობითა და საქართველოს უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად, არის გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან შესაბამისი. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, დეტალურადაა გაწერილი თითოეულ სილაბუსში შეფასების კრიტერიუმები. შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია გამოქვეყნებულია ვებ გვერდზე და ცნობილია სტუდენტისთვის.

სასწავლო კომპონენტების მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას / 100%. დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია მაქსიმალური შეფასების 51% - 51 ქულა; სტუდენტთა ფინალურ შეფასება, რომელიც ელექტრონულ სისტემაში მიმდინარეობს, ყოველი დავალების გასწვრივ არსებულ კომენტარების ველში, ლექტორს უკუკავშირის შესაძლებლობა აქვს. ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, რომ სტუდენტები ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში იღებენ უკუკავშირს. სტუდენტთა საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ, დაცვა ხდება კომისიური წესით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ○ სილაბუსები ○ ვირტუალური ვიზიტის დროს აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის აქტიურად ეწყობა საკონსულტაციო შეხვედრები.

კონსულტირების პროცესში ჩართულები არიან როგორც პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაცია, ისე დაწესებულებაში არსებული სტუდენტური სერვისების წარმომადგენლები. კონსულტაცია ემსახურება სწავლის პროცესის დაგეგმვას, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას, კვლევითი საქმიანობის მიმართულებით განვითარებას, დასაქმებასა და კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელის მაღალი მოტივაცია, აქტიური ჩართულობა, როგორც პროგრამის შინაარსობრივი, პრაქტიკული კომპონენტების განვითარების თვალსაზრისით, ისე, სტუდენტებისათვის სწავლების პროცესთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევის მხრივ. აღნიშნული ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგად, ცალსახად, დადასტურდა.

უნივერსიტეტის ბაზაზე პირველკურსელთათვის ეწყობა საორიენტაციო შეხვედრები, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები სწავლის პროცესის, უნივერსიტეტში არსებული სერვისების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას ეცნობიან.

საქართველოს უნივერსიტეტში ფუნქციონირებს დასაქმების ხელშეწყობის სამსახური, რომელიც სტუდენტების კარიერული განვითარებისათვის კონკრეტულ აქტივობებს აწყობს. მაგალითად, ყოველ სემესტრში ტარდება დასაქმების ფორუმები, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ინდივიდუალური კონსულტაცია გაიარონ სხვადასხვა კომპანიის დამსაქმებლებთან, ადამიანური რესურსის მენეჯერებთან. კომპანიის წარმომადგენლები მათ საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ. აღნიშნული სამსახურის ფუნქცია-მოვალეობებში შედის პოტენციური დამსაქმებლების მოძიება. ყოველწლიურად ტარგება კვლევები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორია ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, რაც ვიზიტისა და დოკუმენტების საფუძველზე დასტურდება. დაწესებულება უკავშირდება კურსდამთავრებულებს და, საჭიროების შემთხვევაში, სამუშაოს მოძიებაში უწყობს ხელს. რამდენიმე სტუდენტი, უშალოდ, საქართველოს უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ სკოლასა და ბაღშია პროფესიით დასაქმებული.

უნივერსიტეტისგან მოწოდებული ინფორმაციით, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად, ბოლო 5 წლის განმავლობაში, წარმოადგენს სტუდენტთა 42 %-ს (მთლიანობაში 66 %-ს).

გარდა ამისა, სტუდენტებისთვის ყოველ სემესტრში იმართება ტრენინგები იმ უნარების დახვეწვისა და დაუფლებისათვის, რომლებიც დასაქმებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, მაგალითად, ტრენინგები ეხება თემას თუ როგორ დაწერონ სტუდენტებმა რეზიუმე/CV, წარმატებით როგორ გაიარონ გასაუბრება. გარდა ამისა 2020/2021 წლის განმავლობაში სტუდენტებისათვის, პანდემიის გამო შექმნილი

ვითარებიდან გამომდინარე, არაერთი ონლაინ ტრენინგი ჩატარდა, რომელთაც ფსიქოლოგები კურირებდნენ. მაგალითად: “როგორ ავიმაღლოთ თვითშეფასება და თავდაჯერებულობა”, “როგორ დავძლიოთ საგამოცდო შიში”, “როგორ ავირჩიოთ მომავალი პროფესია” და ა.შ. ტრენინგების გარდა სტუდენტებისათვის დარგობრივი საჯარო ლექციები იმართება ხოლმე: “მეტყველების განვითარების შეფერხების სიმპტომები და გამომწვევი მიზეზები”, “კრიზისი და კვებითი აშლილობები” და ა.შ.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს საინტერესო იდეების გაჩენის შემთხვევაში შეუძლიათ, სტუდენტურ საქმეთა ცენტრს მიმართონ, რომლის ფარგლებშიც სერვისის წარმოადგენლები განიხილავენ თითოეული სტუდენტის იდეას და შემდგომ იდეების განხორციელებაში ეხმარებიან. მაგალითად, როგორც ვიზიტიდან ირკვევა ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მაღალკურსელების იდეა სტუდენტებთან საგანმანათლებლო შეხვედრები ჩაეტარებინათ, წარმატებით განხორციელდა.

აღნიშნულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მიღება შეუძლიათ ფსიქოლოგიური მომსახურებისა და ანალიტიკის ცენტრ “კონტაქტში”. პანდემიით გამოწვეული სიტუაციიდან გამომდინარე ცენტრის მუშაობა ჯერჯერობით შეჩერებულია, თუმცა ცხოვრების ჩვეულ რიტმში დაბრუნების შემდეგ კვლავ აპირებენ აღნიშნული სერვისის ამუშავებას.

სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს პროექტი “Project X”, რომლის სტუდენტებს შეუძლიათ, მონაწილეობა მიიღონ სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაში. მათ შესაძლებლობა აქვთ, ღიად დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები ცვლილებების განხორციელების მიზნით.

საქართველოს უნივერსიტეტში, ასევე, ფუნქციონირებს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, რომელიც სტუდენტებისათვის უზრუნველჰყოფს გაცვლითი პროგრამებით სარგებლობის შესაძლებლობას. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ “ERASMUS +” - ით. გარდა ამისა უნივერსიტეტს მემორანდუმები არაერთ უცხოეთის უნივერსიტეტთან აქვს გაფორმებული. როგორც ვიზიტიდან ირკვევა, კიდევ უფრო მეტ უნივერსიტეტთან თანამშრომლობა იგეგმება იმისათვის რომ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს მეტი გაცვლითი პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა ჰქონდეთ. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის გამაძლიერებელ ფაქტორს წარმოადგენს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე უცხო ენების, ინგლისური, გერმანული, ესპანური, იტალიური, ფრანგული, მათ შორის პროფესიული ინგლისური ენის დაუფლების შესაძლებლობა. სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს, ასევე, ექპერტთათვის გამოგზავნილი დოკუმენტების საფუძველზე გაცვლითი პროგრამებით სარგებლობის მაჩვენებლი არც თუ ისე მაღალია. როგორც ვიზიტის განმავლობაში გაირკვა, სტუდენტები სხვადასხვა გარკვეული მიზეზის

გამო ვერ ახერხებენ გაცვლითი პროგრამებით სარგებლობას მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხზე აქტიურად იღებენ ინფორმაციას. სასურველია უნივერსიტეტმა სტუდენტები კიდევ უფრო წაახალისოს და გაცვლით პროგრამებსა თუ საერთშორიოს პროექტებში ჩართვის მოტივაცის გაზრდაზე იმუშაოს.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში შეიქმნა მრჩეველთა საბჭო, რომელთა წევრები როგორც საქართველოში, ისე, ამერიკასა და გერმანიაში მოღვაწე დარგის სპეციალისტები არიან. ისინი სამეცნიერო, პრაქტიკული და საექსპერტო საქმნიანობით კავდებიან. ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე გაირკვა, რომ მრჩეველთა საბჭო საერთაშორისო პარტნიორების მოძიებაზე, საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებასა და კიდევ უფრო მეტ გაცვლით პროექტებში ჩართვის შესაძლებლობაზე იმუშავებს.

სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ მათ ინფორმაცია გაცვლითი პროგრამების, კონფერენციების, საჯარო ლექციების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ "MY UG"-ის ელექტრონულ პორტალზე მისდით. ასევე, სიახლეების, სერვისების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია საქართველოს უნივერსიტეტის ვებ გვერდზე (https://www.ug.edu.ge/) .

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ კონფერენციებში. მაგალითად, 2019 წელს გაიმართა სტუდენტ ფსიქოლოგთა საუნივერსიტეტო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა სხვადასხვა უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებმა მიიღეს.

ვიზიტის საფუძველზე გაირკვა, რომ უახლოეს მომავალში დაწესებულების წარმომადგენლები სტუდენტებს როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ კონფერენციებში ჩართვის კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემენ. ამასობაში, ექსპერტებისათვის მოწოდებული დოკუმენტებიდან გამომდინარე სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის მაჩვენებელი (მაგ: სამეცნიერო ნაშრომები, კონფერენციები, და ა.შ., პროგრამის განხორციელების პერიოდში) რაოდენობრივად წარმოადგენს 114-ს.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ საკონსულტაციო საათებით. ისინი აღნიშნულის შესახებ ინფორმირებულები არიან. სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან, ასევე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დასტურდება, რომ სტუდენტები პროგრამაში ჩართული პირებისგან, საჭიროების შემთხვევაში, აქტიურად იღებენ საკონსულტაციო მხარდაჭერას. კონსულტაციისათვის გამოყოფილი საათები მითითებულია პერსონალის დებულებაში. სტუდენტებისათვის კონსულტაციის გაწევის საკითხს პროგრამაში ჩართულ პირთა სამუშაო აღწერილობებიც მოიცავს. უმჯობესი იქნებოდა, საკონსულტაციო საათების შესახებ სილაბუსებშიც იყოს აღნიშნული იმისათვის, რომ სტუდენტები მეტად ინფორმირებულები იყვნენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართულ (პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული/ადმინისტრაციული/პერსონალი) პირთა ფუნქციები და მოვალეობები;

- პერსონალის დებულება;
- მემორანდუმები პრაქტიკის განმახორციელებლებთან;
- ფსიქოლოგიის დეპარტამენტის აქტივობები;
- გაცვლითი პროგრამის სტუდენტის ხელშეკრულება;
- საერთაშორისო მემორანდუმები;
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამით კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მრჩეველთა საბჭოს წევრების სია;
- ვებ-გვერდი: https://www.ug.edu.ge/ ;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, მოწვეულ, აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ინფორმაცია საკონსულტაციო საათების შესახებ სილაბუსებშიც იყოს აღნიშნული, რაც სტუდენტებისათვის დასახელებულ საკითხზე ინფორმაციის მიწოდების კიდევ ერთი ეფექტური სტრატეგია იქნებოდა;

- სასურველია, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ჩართულმა პირებმა და უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა სტუდენტების საერთაშორისო პროექტებით, მობილობით სარგებლობა წაახალისონ და მეტი ძალისხმევა გამოიჩინონ

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მართალია, საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი აკმაყოფილებს როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ისე უსდ-ის მიერ დადგენილი ფორმალური მოთხოვნები, თუმცა, ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანია რამდენიმე საკითხზე ყურადღების გამახვილება. კერძოდ, ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამა ამზადებს ბაკალავრს ფსიქოლოგიაში, რომელსაც, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, ექნება დარგისთვის შესაბამისი ცოდნა, უნარები და კომპეტენცია. აღნიშნულის მიღწევა კი შესაძლებელია ერთი მხრივ, შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალით. აკადემიური პერსონალის შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალის არსებობას, რომელთაც ექნებათ შესაბამისი კომპეტენცია, რაც დადასტურდება სამეცნიერო აქტივობები, მათ შორის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისა და (უმჯობესია, რეფერირებადი და მაღალი იმპაქტ ფაქტორის მქონე) საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში პუბლიკაციების შესაბამისი რაოდენობა. ამ მხრივ, უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (მათ შორის აკადემიური პერსონალის CV-ის) და ინტერვიუს შედეგებმა ცხადყო, რომ ფსქიოლოგიის დოქტორის კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის უდიდეს უმრავლესობას არ აქვს ბოლო 5 წლის განმავლობაში შესაბამისი სამეცნიერო კომპეტენცია დადასტურებული. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს. რაც შეეხება, მოწვეულ პერსონალს, მათი უმრავლესობა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონეა, ასევე მათი ბიოგრაფიითა და პრაქტიკული სამუშაო გამოცდილებით ძირითადად დასტურდება კონკრეტული სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ შეიცვალოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა, აკადემიური პერსონალის რაოდენობის სასარგებლოდ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა • საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასება • პროგრამაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები • პროგრამაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის CV. • სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება

- პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები

რეკომენდაციები:

○ რეკომენდებულია,გაიზარდოს ფაიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქოდე აკადემიური პერსონალის რაოდენობა; აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს ბოლო 5 წლის განმავლობაში ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციები;

- ○ რეკომენდირებულია, აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს ბოლო 5 წლის განმავლობაში ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის უფრო მაღალი მაჩვენებელი
- ○ რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს ძალისხმევა, რათა აფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა პერიოდულად დაადასტუროს სამეცნიერო კომპეტენცია

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. თვიშეფასების დოკუმენტში და ასევე აკდემიური პერსონალთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ზრუნავს სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების სტიმულირებასა და წახალისებაზე და ამ მიზნით აქვს შემუშავებული საპრემიო პროგრამა პუბლიკაციებისთვის, ასევე ფინანსურ მხარდაჭერას უცხადებს პერსონალს კონფერენციაში მონაწილეობის მიღებას.
აკადმიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეების განხილვის შემდეგ ფიქსირდება დაბალი სამეცნიერო აქტიობა. რაც ადასტურებს იმას, რომ უნივერსიტეტის სამეცნიერო აქტიობის წახალისების პოლიტიკა სასურველია გადაიხედოს. დოკუმენტების(CV) მიხედვით მოწვეული პერსონალი, უფრო მაღალ სამეცნიერო აქტივობას აჩვენებს, ვიდრ ეუსდ-ს ძირითადი ან აფილრებული პერსონალი, რაც ექსპერტთა აზრით, განპირობებულია მათ მიერ სახელმწიფო უნივერსიტეტებში დადებული ხელშეკრულებაში ასახული ვადლებულებით.

ჩვენი აზრით, უნივერსიტეტმა შეაფასოს მის მიერ წარმოდგენილი სტიმულირებისა და წახალისების რესურსების გამოყენება და გაანალიზოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების დინამიკა და შედეგები.

უნივერსიტეტი აწყობს აკადემიური სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციებს როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის მონაწილეობით;
პანდემიამ შეცვალა დღის წესრიგი და შეფერხდა ამ ღონიძიებების ცოცხლად ჩატარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება
- სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება
- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების განმავითარებელი აქტივობები
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება
- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის ადმინისტრატორთან გასაუბრება;
- თვიშეფასების დოკუმენტი
- სტუდენტებთან ინტერვიუები;

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა პერიოდულად შეაფასოს და დოკუმენტურად ასახოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების დინამიკა და დასახოს სამომავლო გეგმები;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ტექნიკური და მატერიალური რესურსებით, მათ შორის კეთილმოწყობილი სასწავლო აუდიტორიები თანამედროვე ტექნიკით. აუდიტორიები განკუთვნილია, როგორც მცირე ისე ფართე ჯგუფებთან სამუშაოდ. ონლაინ სწავლებაზე გადასვლის შემდეგ უნივერსიტეტიმა უზრუველყო ონლაინ პლათფორმით სწავლების პროცესი. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მოიპოვება უახლესი სახელმძღვანელოები და წიგნები, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს შეუფერხებლად გაეცნონ საჭირო ლიტერატურას. პანდემიამ განაპირობა, ბევრი წიგნის გაციფრულება, რათა ხელმისაწვედომი ყოფიიყო სტუდენტებისთვის ონლაინ სწავლების პროცესში. დღეს ყველა წიგნი და სახელმძღვანელო, რომელიც იყო ბიბლიოთეკაში არის ხელმისაწვდომი ონლაინ.

უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა მოსახერხებელია როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვისაც. უნივერსიტეტის ვებგვერდი საშუალებას იძლევა, სტუდენტი გაეცნოს ნებისმიერ სილაბუსს, შეამოწმოს თავისი აკადემიური მოსწრება, ნახოს დავალებები და აკონტროლოს გადახდების სისტემა, საგნებზე რეგისტრაცია, ცხრილების ონლაინ გენერირება და ჩვენება, ჰქონდეს ელექტრონული რესურსები. უსდ-ს ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ბაზაზე დაფუძნებული ფსიქოლოგიური მომსახურებისა და ანალიტიკის ცენტრი - „კონტაქტი“ მოიცავს: 1.ტრენინგ-ცენტრს და 2.ფსიქოლოგიური კონსულტირებისა და თერაპიის ოთახს, სადაც სტუდენტებს თეორიული ცოდნის მიღებისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავების შესაძლებლობა აქვთ როგორც სხვადასხვა ტრენინგებში მონაწილეობით, ისე ფსიქოლოგიური კონსულტირების მიღებითა და თერაპიის გავლით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება; ○ სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის ადმინისტრატორთან გასაუბრება; ○ სტუდენტებთან ინტერვიუები; ○ უნივერსიტეტის ელექტრონული რესურსებისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება - შემოწმება ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ „კონტაქტის“ ტრენინგ-ცენტრი ○ „კონტაქტის“ ფსიქოლოგიური კონსულტირებისა და თერაპიის ოთახი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტით ირკვევა, რომ ფულადი სახსრების რაოდენობა ბოლო 5 წლის განმავლობაში შეადგენს 1 400 000 ლარამდე, საიდანაც უდიდესი წილი სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასურია, რაც შეეხება ფულად გასავალს, ის დაყოფილია საოპერაციო (230 050) და საინვესტიციო (45 000) საქმიანობებით. პროგრამის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის მიხედვით, საანგარიშო პერიოდის ნაშთი 1 137 738 ლარს შეადგენს. უნივრსიტეტში გათვლილია ყოველწლიურად 22 სტუდენტის მიღება, რაც აღწერილია ბიუჯეტში.

ამდენად, ბიუჯეტი ეკონომიკურად მიღწევადი და რეალისტურია და ასახავს პროგრამის საჭიროებებს, კერძოდ, შრომით ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რაც, მოიცავს, როგორც აკადემიური და მოწვეული, ისე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების ხარჯებს. ასევე, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან (მათ შორისაა საბიბლიოთეკო, ელექტრონული და უშუალოდ ფსიქოლოგიის ტრენინგ-ცენტრისა და კონსულტირების ოთახსთან დაკავშირებული ხარჯები).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- უსდ-ის ბიუჯეტი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- უსდ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.თვითშეფასების ანგარიში;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე პერიოდულად და აქტიურად ფასდება როგორც სწავლების ხარისხი, ისე, სტუდენტთა კმაყოფილება. პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, კერძოდ, ისინი თავადვე იღებენ კვლევებში მონაწილეობას, მაგალითად, როგორიცაა აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის განკუთვნილი სასწავლო კურსის შეფასების კვლევა, რომლის ფარგლებშიც ლექტორები თავად აფასებენ საკუთარ კურსს, სწავლების მეთოდებს, რაც კურსის შესაძლო სუსტი მხარეების გაუმჯობესებას, ცვლილებების დანერგვას უწყობს ხელს. სასწავლო კურსების ნაკლოვანებების გაუმჯობესებასა და პოზიტიური ცვლილებების დანერგვაში სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები მნიშვნელოვან როლს თამაშობს. როგორც ვიზიტის საფუძველზე გაირკვა, პროგრამაში ჩართული პირები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კვლევის შედეგებს. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის პროგრამის შეფასებაში მონაწილეობის მიღება და კვლევის შედეგების გათვალისიწინება, იმისათვის რომ სწავლების პროცესი კიდევ უფრო გაუმჯობესონ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ყოველსმეესტრულად აწყობს შეხვედრებს, რომლის ფარგლებში (პანდემიის პირობებში მოიაზრება ონლაინ შეხვედრა) განიხილება სწავლების პროცესთან დაკავშირებული საკითხები. თითოეული ჩართული პირი გამოხატავს საკუთარ აზრს გასაუმჯობესებელ საკითხებთან დაკავშირებით. პროგრამის წარმომადგენლები ჩატარებული შეხვედრების ფარგლებში არაერთხელ გაეცნენ პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების შესახებ ინფორმაციას. თვითშეფასების გუნდი შედგება ადმინისტრაციული, აკადემიური და დამხმარე პერსონალისგან, პროგრამის ხელმძღვანელისა და კურსდამთავრებულებისგან. გუნდი

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან პროგრამის გაუმჯობესებისა და დახვეწვის მიზნით თანამშრომლობს.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძვნება პრინციპს "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე", რაზეც მეტველებს სწავლების ხარისხის უწყვეტი, ყოველსემესტრული შეფასება. აღნიშნულში მოიაზრება თითოეული კურსის, ლექტორების მუშაობის ხარისხის, სტუდენტებისათვის მიწოდებული სერვისების ეფექტურობის შეფასება. მიღებული შედეგები სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას ემსახურება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შიდა ხარისხის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები;
- ფსიქოლოგიის პროგრამის კურსებით ჯამური კმაყოფილება;
- ფსიქოლოგიის პროგრამით კმაყოფილების კვლევა;
- ფსიქოლოგიის პროგრამის სასწავლო კურსებით ლექტორების კმაყოფილების კვლევა;
- ფსიქოლოგიის პროგრამით კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა;
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამუშაო აღწერა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტში არსებული ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მიმართავს გარე ხარისხის შეფასებას და რეგულარულად იყენებს, ითვალისწინებს აკრედიტაციის დროს მიღებულ რეკომენდაციებს.

ვინაიდან, პროგრამა ამ ეტაპზე გადის რეაკრედიტაციას, პროგრამაში ჩართულ პირებს ჰქონდათ შესაძლებლობა, გაეთვალისწინებინათ 2020 წელს საბჭოს ხდომაზე გაცემული რეკომენდაციები.

ა) საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები და მიზნები შინაარსობრივად გადაიხედა და ეროვნული კვალიფიკაციის განახლებულ ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორებთან შესაბამისობაში მოვიდა.

ბ) სასწავლო კურსების შედეგების შინაარსი გადაიხედა და ეროვნული კვალიფიკაციის განახლებულ ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნებთან მოვიდა შესაბამისობაში. უფრო კონკრეტულად, როგორც პროგრამის, ისე, თითოეული კურსის სწავლის შედეგები მოიაზრებს იმ სამ ძირითად კომპონენტს, რომლებიცაა ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

გ) ვინაიდან, პროგრამის წარმომადგენლებმა 2021 წლის 26 მარტის აკრედიტაციაზე კონცენტრაციები აღარ წარმოადგინეს, სწავლის შედეგებიც კონცენტრაციისთვის ვეღარ იქნება გაწერილი და აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში რეკომენდაციის შესრულება ვერ შემოწმდება. ამ ეტაპზე კონცენტრაციების ნაცვლად გამოყოფილია სამი ძირითადი მიმართულება: კლინიკური ფსიქოლოგია, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგია. თითოეული მიმართულება მოიცავს არჩევით საგნებს და სტუდენტები, დაინტერესების შემთხვევაში, კონკრეტული მიმართულების კურსებზე დარეგისტრირებას შეძლებენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება;
- გარე ხარისხის შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებები;

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგში მონაწილეობას იღებენ როგორც აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული მხარე, ისე დამსაქმებლები, სტუდენტები. ვიზიტის ფარგლებში თითოეული მხარის აქტიური ჩართულობა და თანამშრომლობის მაღალი მოტივაცია გამოიკვეთა.

პროგრამაში ჩართული პირები ერთმანეთს აქტიურად უზიარებენ მოსაზრებებს პროგრამის დახვეწვასა და ძლიერ მხარეებთან მიმართებაში.

დაწესებულების წარმომადგენლების დამსაქმებლებთან თანამშრომლობა, ჩატარებული ფორმალური კვლევების გარდა, პირისპირი შეხვედრებითა და შეხედულებების გაცვლითაც შემოიფარგლება. დამსაქმებლებთან ინტერვიუს საფუძველზე, მათი პროგრამის განხორციელებაში აქტიური ჩართულობა გამოიკვეთა, მაგალითად, პროგრამაში ჩართულმა პირებმა და დამსაქმებლებმა ერთად დაგეგმეს პრაქტიკული კურსები. ზოგადად, უნივერსიტეტი ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლების მოსაზრებებს.

გამოიკვეთა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა პროგრამის განვითარებასთან მიმართებაში. სტუდენტები სემესტრის ბოლოს “My Ug”-ის ელექტრონული პორტალიდან ყოველსემესტრულად ავსებენ კითხვარს, რომელიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტის შეთავაზებული სასწავლო პროგრამისა და ცალკეული კურსების მიმართებაში სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების დონის განსაზღვრას.

ყოველსემესტრული კვლევა ტარდება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთანაც, რომლებიც საკუთარ კურსებს აფასებენ და მიღებული შედეგები შემდეგ სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება.

უსდ, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, იყენებს კოლეგიალურ შეფასებას. უფრო კონკრეტულად, სოციალური მეცნიერებების სკოლის დეკანისა და ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელის ორგანიზებით, პროგრამის გარე შეფასებაში მონაწილეობა მიიღეს კლინიკური, კვლევითი და ქცევის გამოყენებითი ანალიზის კონსულტანტებმა (ახალი ზელანდია).

უახლოესი ერთი წლის მანძილზე, კიდევ ერთხელ ჩატარდა დამატებითი კვლევა პროგრამის მოდიფიცირების მიზნით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ადმინისტრაციამ, რომელმაც არსებული კვლევების რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებასა და მათ ანალიზს მიმართა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა საკუთარი პერსპექტივიდან გასცეს რეკომენდაციები, სკოლის დირექტორმა დაგეგმა პროგრამის ბიუჯეტი.

გარდა ყოველსემესტრული ლექტორებისა და სტუდენტების გამოკითხვებისა, აკადემიურ პერსონალთან ვიზიტისას გაირკვა, რომ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პერსონალის ლექციებს ესწრება და შემდგომ ერთობლივად განიხილავენ ძლიერ და კიდევ უფრო დასახვეწ მხარეებს.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის თქმით, სისტემატიური უკუკავშირის მიღება, იქნება ეს კვლევის თუ სალექციო კურსებზე დასწრების შედეგები, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებაში ეხმარებათ.

მონიტორინგისა და პროგრამაში ჩართული პირების მხრიდან გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა პრაქტიკულ კურსებზე, უფრო კონკრეტულად, საბაკალავრო პროგრამაზე არსებული თითოეული მიმართულებისთვის დაინერგა პრაქტიკული კურსები: პრაქტიკა კლინიკურ ფსიქოლოგიაში, განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგიაში, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში. უფრო მეტად გამრავალფეროვანდა არჩევითი კურსები, მაგალითად, დაემატა შემდეგი საგნები: ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები, სოციალური უნარების ტრენინგი, საჯარო გამოსვლის ტექნიკა, სოციოლოგიის საფუძვლები, პრობლემებზე ორიენტირებული სწავლება ფსიქოლოგიაში, ფილოსოფიური აზრის ისტორია, სოციოლოგიის საფუძვლები, ანალიტიკური და რაოდენობრივი აზროვნება. აღსანიშნავია, რომ არჩევით საგნებს დაემატა პროფესიული ინგლისური ენა. საქართველოს უნივერსიტეტში არსებული ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის პერიოდული დადარება ხდება როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ უნივერსიტეტებთან. ექსპერტებისთვის გამოგზავნილი დოკუმეტებიდან გამომდინარე, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი აგებულია აშშ-ს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილებაზე დაყრდნობით. უნივერსიტეტებთან დადარების საფუძველზე გაირკვა, რომ სწავლების მეთოდები იდენტურია. დადარება მოხდა როგორც საქართველოს, ისე, აშშ-სა და კანადის უნივერსიტეტებში არსებულ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამებთან. შედარების საფუძველზე დაადგინეს, რომ პროგრამა მოიცავს დარგისთვის აუცილებელ სასწავლო კომპონენტებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის პერიოდული შეფასების შედეგები; • კოლეგიალური შეფასების დასკვნა; • ფსიქოლოგიის პროგრამის სასწავლო კურსებით ლექტორების კმაყოფილების კვლევა; • ფსიქოლოგიის პროგრამის კურსებით კმაყოფილების კვლევა; • ფსიქოლოგიის პროგრამით კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა; • ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ეკატერინე ფირცხალავა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

მაია მესტვირიშვილი

თინათინ გვაძაბია